# გადაწყვეტილება

2017 წლის 21 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაზე" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, მე-100, 103-ე, 115-ე, 116-ე, 118-ე და 177-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაზე" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაზე" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 10 სექტემბერი 14:00 საათი.
3. შშპს „აჭარისწყალი ჯორჯიაზე" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 21 სექტემბერი.
4. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი) და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), უზრუნველყონ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცნობის კომისიის ვებ-გვერდზე განთავსება.
5. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი), უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს (ე. ლაგვილავა).
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე ი. მილორავა

კომისიის წევრი გ. ფანგანი

კომისიის წევრი მ. მელიქიძე